

ენერგეტიკის სექტორის ძირითადი პრობლემები 2013-2016 წლებში - შედარებითი ანალიზი

პრობლემები 2013 იანვარში	შემდგომი ქმედებები	შედეგი	საშუალო (-3-+3)	სტანდარტული გადახრა
ენერგეტიკული პოლიტიკის შემუშავება	2015 წელს დამტკიცდა ენერგეტიკული პოლიტიკა	ძირითადად დეკლარატიული დოკუმენტი - საჭიროებს განახლებას	0.83	1.77
ენერგეტიკული სტრატეგიის შემუშავება	2013 წელს სამინისტროს გადაეცა მეთოდიკა და მაგალითები. მიმდინარეობდა მუშაობა 2015-2016 წლებში	ვერ შემუშავდა პრაქტიკული მნიშვნელობის და ღირებულების მქონე დოკუმენტი. რაც მნიშვნელოვანია, არ არის ჩამოყალიბებული შესაბამისი პროცესი და სპეციალისტების ჯგუფი. სტრატეგიის გამოქვეყნებული ელექტროენერგეტიკული ნაწილის პროექტი მნიშვნელოვან გაუმჯობესებას საჭიროებს.	0.00	0.58
ენერგოსექტორის დაგეგმვა	სამინისტროს გადაეცა გრძელვადიანი დაგეგმვის მოდელი და მოხდა თანამშრომლების ტრენინგი. დამოუკიდებლად მომზადდა ქსელების განვითარების ათწლიანი გეგმები ელექტრობის და გაზის სექტორში (დასრულების პროცესში).	დაგეგმვა არ გამოიყენება პოლიტიკის ალტერნატივების შესაფასებლად, არ ხდება სცენარების დამუშავება და შედარება, დატრენინგებული თანამშრომლების უმეტესობამ სამინისტრო დატოვა. ელექტროსისტემის გეგმა არარეალისტურ დაშვებებს ეყრდნობა და დიდ ინვესტიციებს გულისხმობს. გაზის ტრანსპორტირების სისტემის გეგმა ახლა ქვეყნდება. დაგეგმვისას ხდება არა იმდენად ალტერნატივების შედარება, რამდენადაც უკვე მიღებული გადაწყვეტილებების გამართლება.	0.33	0.47
ენერგეტიკული ბალანსის შემუშავება	საერთაშორისო დახმარებით სტატისტიკის დეპარტამენტმა დაიწყო ენერგეტიკული ბალანსის შემუშავება	ამოქმედდა ბალანსის შემუშავების მექანიზმი და დამუშავებულია 2013-2014წწ ბალანსები.	2.67	0.75

ენერგეტიკული კანონმდებლობის სისრულე და ხარისხი	მოხდა მრავალი ცვლილება ბაზრის წესებში და ელექტროენერჯის და გაზის კანონში	კანონმდებლობის ცვლილება არასისტემური იყო და ძირითადად ტექნიკურ პრობლემებს ეხებოდა - ხარისხი არ გაუმჯობესებულა, რჩება ბუნდოვანება, წინააღმდეგობრივობა და განსხვავებული ინტერპრეტაციების შესაძლებლობა	-0.83	0.69
სექტორის ცენტრალიზებული და გაუმჭვირვალე მართვა - ძალაუფლების კონცენტრაცია სამინისტროს ხელში	მოხდა მინიმალური ცვლილება - ბაზრის მონიტორინგი გადაეცა სემექს	სამინისტრო ისევ ითავსებს პოლიტიკის, სამეურნეო, რეგულირების და სხვა ფუნქციებს, გაუმჭვირვალე პრინციპით და გარიგებებით მართავს სექტორს	-0.50	0.50
რეგულირება და ტარიფების დადგენა	სემექსმა დაიწყო ტარიფების დამოუკიდებლად დადგენა თუმცა მხოლოდ ელექტროგამანაწილებელი კომპანიებისათვის.	თელასს და ენერგო-პროს პროფესიული, გამჭვირვალე პროცესის საფუძველზე დაუდგინდა ტარიფები. საჭიროა შემდგომი განვითარება	0.83	0.37
სტრატეგიული ინვესტიციები ენერგეტიკულ სექტორში	დაიდო ათეულობით მემორანდუმი ახალი ჰიდროსადგურების მშენებლობაზე. დასრულდა მიწისქვეშა გაზსაცავის პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება, დასრულდა 230 მგვტ თბოელექტროსადგური და მიმდინარეობს მოლაპარაკება ახალი თბოელექტროსადგურის მშენებლობაზე.	დასრულდა თურქეთის დამაკავშირებელი გადამცემი ხაზი და ქვესადგური; დასრულდა 230 მეგავატანი თბოსადგური. ინვესტიციები, ძირითადად, იდება სახელმწიფოს მიერ ან სახელმწიფო გარანტიებით	0.83	0.37
კონკურენტული ენერგეტიკული ბაზრების ჩამოყალიბება	ელექტროენერგეტიკული ბაზრის მოდელის შემუშავებაზე მუშაობა - ძირითადად სსე და USAID პროექტი	შემუშავებულია ერთი დღით ადრე ვაჭრობის მოდელი. დაწყებული ტესტირება შეჩერდა და პროგრესი არ შეინიშნება.	0.17	0.69
წიაღისეული ენერგეტიკული რესურსების მიება/მოპოვება	მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განხორციელებულა - შემუშავდა ფიქალის გაზის შესწავლის რეკომენდაციები	გაგრძელდა ლიცენზიატა მიერ ძებნა-ძიება, რაიმე არსებითი ნაბიჯი სახელმწიფოს მხრიდან არ გადადგმულა. ნახშირის მოპოვება არ ხდება რამდენადმე მნიშვნელოვანი მოცულობებით	-0.17	0.37
მემორანდუმები და შეთანხმებები სხვა ქვეყნის ენერგოკომპანიებთან	თელასთან და ენერგო-პროსთან გარიგების საფუძველზე, დროებით შემცირდა ტარიფები მემორანდუმების გახანგრძლივების და საინვესტიციო ვალდებულებების ხარჯზე;	RAO UES მემორანდუმის მოქმედება 2015 წლამდე, SOCAR მემორანდუმი მოქმედებს 2030 წლამდე	-1.33	0.94

ენერგოეფექტურობა	სახელმწიფო ღონისძიება არ გატარებულა, 2015 წელს EBRD-ის დაფინანსებით შემუშავდა ენერგოეფექტურობის სამოქმედო გეგმა, რომლის პრეზენტაციაც გაიმართება 2016 წლის ოქტომბერში	კანონი, სააგენტო, ნორმები და სტანდარტები, ისევე როგორც სპეციალისტების მომზადების ცენტრები-არ არსებობს.	-0.17	1.07
განახლებადი ენერჯია (ჰიდროს გარდა)	სახელმწიფო პოლიტიკა არ შეცვლილა, დაიდო მემორანდუმი ახალდაარსებულ კომპანიასთან მზის პოტენციალის შესწავლაზე	სახელმწიფო დაფინანსებით შენდება ქარის პირველი სადგური	0.50	1.12
კვლევა და დანერგვა	მთავრობას კვლევისთვის რესურსები არ გამოუყვია	კვლევები, ძირითადად, მიმდინარეობს დონორული პროექტებით, სახელმწიფოს ჩართულობა მინიმალურია	-0.50	1.12
ინსტიტუციური და პროფესიული შესაძლებლობების გაზრდა	ამუშავდა სემინარების ტრენინგის პროგრამა ე-კონტროლ-თან ერთად	ხელშეხება პროგრესი	0.33	1.11
ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანება	მოლაპარაკებები დასრულებულია, 2016 წლის ოქტომბერში უნდა გაიმართოს მინისტრიალი და გაწევრიანება	გაწევრიანება მოსალოდნელია ოქტომბერში საჭირო იქნება პარლამენტის მიერ რატიფიცირება	1.17	0.69
სტრატეგიული სატრანზიტო პროექტების ხელშეწყობა	ახალ პროექტებთან დაკავშირებით წინსვლა არ ყოფილა, AGRI, WS და TCP ვერ განვითარდა	ტრანსკასპიურის შეხვედრები მიმდინარეობს საქართველოს მონაწილეობის გარეშე	-0.67	1.37
რეგიონული ენერგეტიკული თანამშრომლობა	გაურკვეველია სახელმწიფო პოლიტიკა ამ მიმართულებით, ერთი მხრივ, იგეგმება ენერგეტიკული გაერთიანების წევრობა და, მეორე მხრივ, იქმნება ახალ სისტემა რუსეთ, სომხეთ, ირანთან	გაურკვეველი გეგმები, სხვათა ინტერესების ორბიტაში ჩათრევის საფრთხე	-0.33	1.37
ტექნიკური ნორმატიული დოკუმენტის შემუშავება	დამუშავდა ქსელის წესები, ნეტო აღრიცხვის წესები, მომსახურების წესები და სხვ.	ქსელის ტექნიკური სტანდარტები დამტკიცდა, ნავთობის და გაზის სექტორში დამტკიცდა 200-მდე ტექნიკური სტანდარტი	1.83	0.37
მართვის გამჭვირვალობა	ფორმალურად ტარდება კონსულაციები სამოქალაქო სექტორთან, არასრული ინფორმაციის მიწოდებით და გადაწყვეტილებებზე ზემოქმედების გარეშე	სერიოზული განსხვავებები არ არის	-0.50	1.12